გურჯაანის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს სხდომის
ოქმი № 9

2010 წლის 15 ივლისი **ქ. გურჯაანი**

სხდომას თავმჯდომარეობდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ზაქარია იაგანაშვილი.
ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ალ. სირბილაშვილი. გ. ენუქიძე, ვ. ელიზბარაშვილი, ა. ზარდიაშვილი, ხ. ჭონიაშვილი, ლ. გაბიტაშვილი, ნ. მურაკაშვილი, ალ. შანყულაშვილი, ივ ნატროშვილი, კ. ნაპირელი, ე. ბოკუჩავა, მ. ძამუკაშვილი, მ. მუღალაშვილი, პ. ჯოხაძე, ზ. მინდორაშვილი, რ. არდაზიშვილი, ნ. ღლიღვაშვილი, ზ. დოიაშვილი, ალ. ინანაშვილი, ვ. მამისაშვილი, ბ. ზირაქაშვილი, მ. ჩიბარაშვილი, ზ. ბადრიაშვილი.

მოწვეული სტუმრები: გ. პეტრუზაშვილი – გამგებლის პირველი მოადგილე.
ნ. ქაჩლიშვილი – საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

<u>დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი</u>

1. გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ სახელმწიფო სესხის აღებაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

/კ. ნაპირელი/
/ნ. ქაჩლიშვილი/

2. გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცების შესახებ.

/ივ. ნატროშვილი/

3. გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 28 იანვრის №2 განკარგულებაში „გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელმწიფო შესყიდვების 2010 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ“ – ცვლილებების შეტანის თაობაზე.

/კ. ნაპირელი/
/ნ. ქაჩლიშვილი/

– **ზ. იაგანაშვილმა** სხდომის წევრებს გააცნო დღის წესრიგი და აღნიშნა, რომ საკრებულოს სხდომას ესწრება 24 - საკრებულოს წევრი.
მან კენჭი უყარა წარმოდგენილი დღის წესრიგით საკრებულოს მუშაობის საკითხს.

მომხრე – ყველა,
წინააღმდეგი – 0

მოისმინეს
1) გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ სახელმწიფო სესხის აღებაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

/კ. ნაპირელი/
/ნ. ქაჩლიშვილი/

– **კ. ნაპირელმა** აღნიშნა, რომ ქ. გურჯაანის ქუჩებისა და წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაციისათვის საჭიროა საქართველოს მთავრობიდან ნებართვის აღება მსოფლიო ბანკიდან სესხის აღებაზე 10 წლის ვადით – ქუჩების რეაბილიტაციისათვის 909,778

(ცხრაას ცხრა ათას შვიდას სამოცდათვრამეტი) ლარი, ხოლო წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაციისათვის 1096808 (ერთი მილიონ ოთხმოცდათექვსმეტი ათას რვაას რვა) ლარი.

აზრი გამოთქვეს:
– გ. ენუქიძემ, მალხაზ ძამუკაშვილმა, ალ. სირბილაშვილმა, ლ. გაბიტაშვილმა, ნ. მურაკაშვილმა.

მათ აღნიშნეს, რომ პროექტი მისაღებია, მაგრამ გასათვალისწინებელია როგორც ქუჩების, ასევე წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებამდე გამოინახოს ფინანსური საშუალებები და მუნიციპალიტეტის ხარჯით, ლოკალურად იქნეს აღდგენილი და შეკეთებული წყლისა და საკანალიზაციო სისტემა და სხვა სამუშაოები, რომ მერე რეაბილიტირებული ობიექტის დანგრევა და ხელახალი აღდგენა არ მოგვიხდეს.

დაისვა კითხვები – რომელზეც გ. პეტრუზაშვილმა უპასუხა.

– ზ. იაგანაშვილმა აღნიშნა, რომ – ხელშეკრულება დადებულია, ჩვენი ვალდებულებაა ვითხოვოთ სესხის აღება, ვითხოვოთ თანადაფინანსება. სესხის დაფარვაში მოგვეხმარება ხელისუფლება.

როდესაც უკვე დაიწყება სარეაბილიტაციო სამუშაოები საჭირო იქნება გამგეობის შესაბამისი სამსახურების ყურადღების მაქსიმალური გააქტიურება სამუშაოების ხარისხიანი შესრულებისათვის.

დაადგინეს:
ეთხოვოს ნებართვა საქართველოს მთავრობას საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ დამტკიცებული პროექტის ფარგლებში ქ. გურჯაანის წყალმომარაგების ქსელისა და ქუჩების რეაბილიტაციის დასაფინანსებლად მსოფლიო ბანკიდან სესხის აღების თაობაზე.

მოისმინეს
2) გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცების შესახებ.

/ივ. ნატროშვილი/

– ივ. ნატროშვილმა წარმოადგინა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობების საპრივატიზაციო ნუსხის პროექტი.

აზრი გამოთქვეს:
– ნ. ღლიღვაშვილი წინააღმდეგი წავიდა ს. კარდენახში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო მიწის პრივატიზაციის. მან მოითხოვა სოფელ კარდენახის საკითხის შეჩერება, ადგილზე შესწავლა და მოსახლეობის აზრის გათვალისწინება.

– ნ. მურაკაშვილმა და ხათუნა ჭონიაშვილმა აღნიშნეს, რომ მანამ საკითხი (პროექტი) გამოვიდოდეს სესიაზე განსახილველად, მანამდე მოხდეს საკრებულოს შესაბამის კომისიაზე განხილვა და უკვე დახვეწილი წარედგინოს სესიას.

– ზ. იაგანაშვილი – ამ ეტაპზე საპრივატიზაციო ნუსხიდან ამოვიღოთ ს. კარდენახის არასასოფლო-სამეურნეო მიწის ფართი. დავავალოთ საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისიას მოიკვლიოს და სათანადო არგუმენტებით, სამართლებრივი ნორმების დაცვით წარმოადგინოს დასკვნა შემდეგი განხილვისათვის.

მან კენჭი უყარა აღნიშნულ წინადადებას.
მომხრე – ყველა,
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

დამტკიცდეს არასასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობების საპრივატიზაციო ნუსხა ს. კარდენახის მიწის ფართობის გამოკლებით (შემდეგ განხილვამდე).

მოისმინეს

3) გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 28 იანვრის №2 განკარგულებაში „გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელმწიფო შესყიდვების 2010 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ“ – ცვლილებების შეტანის თაობაზე.

/კ. ნაპირელი/
/ნ. ქაჩლიშვილი/

– **კ. ნაპირელმა** სესეიას მოახსენა შესყიდვების 2010 წლის გეგმაში ცვლილებების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ალ. ინანაშვილმა, ალ. შანყულაშვილმა, პ. ჯოხაძემ, მ. ძამუკაშვილმა.

დაადგინეს:

დამტკიცდეს გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 28 იანვრის №2 განკარგულებაში „გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელმწიფო შესყიდვების 2010 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ“ – ცვლილებები.

გურჯაანის მუნიციმპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ზაქარია იაგანაშვილი**